

# ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

## კულტურული გამპვიდრეობა საქართველოს კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი და რეალური პოლიტიკა კულტურული გამპვიდრეობის სფერო



სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი

პუბლიკაცია მომზადებულებია  
სტრატეგიული კვლევების რეგიონული  
ცენტრის პროექტის – „ასოცირების შე-  
თანხმების დღის წესრიგისა და სამოქმე-  
დო გეგმის ხელი სფეროს სამოქალაქო  
მონიტორინგი“ – ფარგლებში.  
ნიამდებარე პოლიტიკის დოკუ-  
მენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის  
ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

### ავტორი:

მარინე მიზანდარი\*  
„აღმოსავლეთ პარტნიორობის  
ხელოვნებისა და კულტურის  
საპჭო“

### რედაქტორი:

ნესტან ჩხითელი



პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ. ტექსტისა და კომენტარების აფტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ უკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე ჰასუხს არ აგებს.

### პოლიტიკის დოკუმენტი

### ცინასიტყვაობა

მოცემული დოკუმენტის მიზანია წარმოაჩინოს და გაანალიზოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს წინაშე მდგომი გამოწვევები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კარგი მმართველობის პრინციპებთან, ქვეყნის მდგრადი განვითარების, სოციალური კეთილდღეობის საკითხებსა და კულტურული იდენტობის შენარჩუნებასთან.

ცნობილია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქართველოში არ-სებული სისტემა ვერ ასახავს ქვეყნის მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას და საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკას. საქართველოში სულ 9000-მდე ძეგლია აღნუსხული, მაშინ როცა იმავე მასშტაბის ქვეყნებში მემკვიდრეობის ძეგლთა რაოდენობა ოთხჯერ, ხუთჯერ და ზოგ შემთხვევაში ათჯერ მეტია.<sup>1</sup>

საქართველო დღემდე ვერ ახერხებს მემკვიდრეობისა და ეკონომიკის ე.წ. „შეუთავსებლობის“ კომპლექსის დაძლევას<sup>2</sup>, ვერ ახერხებს „... სრულად გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალი, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ხასიათი და ინტერესები და უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ პატივი სცეს კულტურული მემკვიდრეობის მთლიანობას მისი ღირებულებების შელახვის გარეშე.“<sup>3</sup> კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა საქართველოს ქალაქებში: თელავის, სიღნაღის, ბათუმის, თბილისის ე.წ. რეაბილიტაციის პროცესები და ურბანული ცვლილებები

\* მარინე მიზანდარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნებისა და კულტურის საპჭოს თანადამფუძნებელი, პროექტის – „პარტნიორობა უკეთესი გარემოსთვის“ – მენეჯერი, მონიტორინგის საერთაშორისო ექსპერტი, ევროკავშირის პროგრამებსა და პროექტებზე მუშაობის 11-წლიანი გამოყდილებით.

მემკვიდრეობისადმი არასწორი მიდგომისა და ურბანული განვითარების გრძელვადიანი ხედვის არარსებობის შედეგია.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებულმა საჭიროებებმა სათანა-დო ასახვა პოვა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგში, ასევე, მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონვენციაში, რომელსაც მიერთებულია საქართველო. მდიდარი არამატე-რიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მქონე საქართ-ველოსტვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ამ მემკვიდრეობის შენ-არჩეულებას, დაცვასა და სწორ მართვას. ამ სფეროში ასოცირების დღის წესრიგითა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეს-რულების მონიტორინგი გულისხმობს, ერთი მხრივ, 2016 წელს შემუშავე-ბულ დოკუმენტში „კულტურის სტრატეგია 2025“ კულტურული მემკვიდრე-ობის დარგთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს, ხოლო, მეორე მხრივ კი იმ რეალური პოლიტიკის განხილვას, რომელსაც დღეს ატარებს სახელ-მწიფო.

## ანალიზი

2012 წლის დამლევს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად საზოგადოებაში გაჩნდა იმედი, რომ საქართველოში აღარასდროს განმეორ-დებოდა ისტორიული ქალაქების საკაცობრიო მნიშვნელობის მეგლების თვითმყოფადობის შემდლახავი პროცესები, როგორც ეს მოხდა სილნალის, თბილისისა თუ ბაგრატის კათედრალის შემთხვევაში; ხელისუფლების წარ-მომადგენლები კულტურული მემკვიდრეობას აღარ დაუპირისპირებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ სიკეთეს. 2013 წელს, მართლაც, დაფიქსირდა გარკვეული დადებითი ცვლილებები: კულტურ-ისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა კულტურის პოლიტიკის კონცეფცია, სწორ კალაპოტში ჩად-გა სხვა უწყებების მიერ ინერციით გაგრძელებული მასშტაბური ინფრას-ტრუქტურული პროექტები, რომლებიც მსხვერპლად იწირავდა კულტურუ-ლი მემკვიდრეობის ძეგლებს<sup>4</sup>, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი თემის ჩართულობით კონსერვაციის გეგმაც კი შემუშავდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო<sup>5</sup>. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან კეთილი წების დროებითი გამოვლენა აღმოჩნდა.

2014 წელს მკაფიოდ გამოვლინდა მემკვიდრეობის საზიანო სახელმწიფო ხე-დვა, რომელიც გამოიხატა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განად-გურებასა და კულტურული ლანდშაფტისა და მემკვიდრეობის მავნე სამ-შენებლო მეგაპროექტების განხორციელებაში. უგულებელყოფილი იქნა საზოგადოებრივი საპროტესტო კამპანია და სასამართლო გადაწყვეტილე-ბა.<sup>6</sup> რადიკალურად შეიცვალა საკადრო პოლიტიკაც, რამაც ზურგი გაუმ-აგრა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დანაშაულებრივ ქმედებებს თვით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან. შე-

<sup>1</sup> მაგალითისთვის, სლოვენიაში 30 000 ობიექტია რეგისტრირებული, ეს-ტონეთში - 26 5787, ნორვეგიაში 6 000 მარტო არქეოლოგიური ძეგლია, ხოლო ჰოლანდიაში - 80 400 უძრავი ძეგლი, საბინაც 60 000 ეროვნული, 400 რეგიონული და 40 000 მუნიციპალურია. იხ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პლატფორმა, 2014, გვ.14

<sup>2</sup> იქვე, გვ.51

<sup>3</sup> ფაროს კონვენცია, 2005

<sup>4</sup> მაგალითისათვის მოვიტან დართლოს რეაბილიტაციის პროექტს, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელი სამინისტრო ყველა ნორმისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის დარღვევით ახორციელებდა.

<sup>5</sup> იგულისხმება თელავის ბატონის ციხის ტერიტორიაზე გაჩაღებული ნორვეგისა და უკანონი მშენებლობების პროცესი, რომელსაც, ასევე, წარმართავდა რეგიონულ განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელი სამინისტრო. მოხერხდა მა პროცესის შეჩერება და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის შემუშავება.

<sup>6</sup> იგულისხმება თბილისში, იმელის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშენებული სასტუმრო, საყდრისის საპროტესტო კამპანია და საყდრის-ყაჩაღიანთან დაკავშირებული ძეგლის სტატუსის აღდგენის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; ასევე, პან-ორამა-თბილისის შენებლობა სოლო-ლაკის ქედზე.

საბამისად, აღარ დამტკიცდა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორებიცაა 2013 წელს შემუშავებული კულტურის პოლიტიკის კონცეფცია და კანონპროექტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ყურადღების მიღმა დარჩა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც 2014 წელს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში მომზადდა ICOMOS-საქართველოს მიერ, გაუქმდა პროფესიული საბჭოები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული წრეების ჩართულობის ქმედითი მექანიზმი იყო. არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგად გვევლინება ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის რისკები, რომლებიც 2016 წლის მაისში გამოვლინდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ,<sup>7</sup> რაც კიდევ უფრო კრიტიკულს ხდის ვითარებას ზოგადად, კულტურისა და, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დარგში.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, რომელიც არაფერს ამბობს კულტურისა და მემკვიდრეობის სოციალურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე თვით ტურიზმის განვითარების კონტექსტშიც კი. მემკვიდრეობის დარგში გატარებული ასეთი მძიმე რეალური პოლიტიკის ფონზე 2014 წელს კულტურისა დაძეგლთა დაცვის სამინისტრომ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა დოკუმენტზე „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2016 წელს. თავისთავად ეს მისასალმებელი ფაქტი ამასთანავე უპასუხებდა ქვეყნის მიერ ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებას „...კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის“ თაობაზე<sup>8</sup>. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების ვალდებულებამ ასახვა პოვა აგრეთვე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წერიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.<sup>9</sup> ფაქტობრივად, დღესდღეობით ეს არის კულტურის სფეროში პოლიტიკის ერთადერთი დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის ზოგად სტრატეგიას „მთლიანად კულტურა-სა და მის ცალკეულ დარგებში. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის განხილვა, რა ამოცანებია დასახული კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტს აქვს სტრუქტურული პრობლემა, აღრეულია პოლიტიკა და სტრატეგია, ხედვა და მისია. დემოკრატიზაცია ძირითადად მხოლოდ ინფორმაციის გამჭვირვალობას გულისხმობს, არსად ჩანს სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული წრეების თანამონაწილეობა და საამისოდ საჭირო მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. დოკუმენტში საერთოდ არ ფიგურირებს სამოქალაქო საზოგადოება და იგი ჩანაცვლებულია ფართო საზოგადოებით. დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე მინიშნება ბუნდოვანია და არ არის გამყარებული კონკრეტული მექანიზმების ან გზების დასახვით. საერთოდ, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გამჭვირვალობაზე, ე.წ. ჩართულობასა და არა სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემებზე.

რაც შეეხება კულტურულ მემკვიდრეობას, მას ოთხი გვერდი ეთმობა მე-3 თავში, სათაურით „სპეციფიკური ამოცანები“. აქაც, ფაქტობრივად, ზედა-

<sup>7</sup> <http://www.transparency.ge/node/5990>

<sup>8</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი მე-17, მუხლი 363.

<sup>9</sup> იქვე, პარაგრაფი 195.1

პირული ჩამონათვალია ცალკეული წინადადებებისა და ამოცანებისა, რომლებიც კონტექსტის გაუთვალისწინებლად არის ამოკრებილი ICOMOS-საქართველოს მიერ შემუშავებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკიდან, თანაც ამ დოკუმენტზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე. არსად არის საუბარი დარგში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე, საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზე, ნორმატიული აქტების, მემკვიდრეობის ტიპოლოგიის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებაზე; მიუკერძოებელი პროფესიული საბჭოების ამოქმედებაზე; რეგიონული მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მონიტორინგის წარმოების აუცილებლობაზე. არაფერია ნათქვა-მი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და ძეგლთა ნუსხის გაზრდის აუცილებლობაზე; უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ მემკვიდრეობის აღნუსხვის არსებული სისტემა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკას. კულტურული მემკვიდრეობის რაობა და გამოვლენა საერთოდ გვერდავლილია და მრავალფეროვნება ძირითადად ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მემკვიდრეობამდეა დაყვანილი. გა-საკვირია ისიც, რომ მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვა მხოლოდ მე-14 პუნქტად არის მოხსენიებული.<sup>10</sup> დოკუმენტი მოკლებულია თანამიმდევრულობას, ამოცანები ხან სრულიად ზოგადად და ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული, ხან კი – უაღრესი კონკრეტულობით, როგორც ეს ხდება გარკვეული ურბანული სივრცეებისთვის დამახასიათებელ ბიზნესების შემთხვევაში<sup>11</sup>.

## დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ლაკონურ ფორმულირებაში თანამშრომლობის სამი სფეროა მონიშნული, რომელთაგან პირველი არის კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, ხოლო მეორე კი – სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით<sup>12</sup> თანამშრომლობა საქართველოში ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის განვითარების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ვალორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით

სამოქმედო გეგმით კულტურული მემკვიდრეობის სფეროში რამდენიმე აქტივობა გათვალისწინებული, მათ შორის კულტურის სტრატეგიის ორწლიანი სამუშაო გეგმის შემუშავება, და იუნესკოს 2003 წლის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის შესრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. პირველ აქტივობას რაც შეეხება, მისი ინდიკატორია სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნება. ამ ნიშნით შედეგი მიღწეულად შეიძლება ჩათვლილიყო, რომ არა მისი შინაარსობრივი მხარე: კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი ვერ წარმოაჩენს საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დარგობრივ, რეგიონულ, გეოგრაფიულ, ტიპოლოგიურ, ეთნიკურ და შემოქმედებით მრავალფეროვნებას, ვერ გვთავაზობს მისი შენარჩუნებისა და განვითარებისთვის აუცილებელ სტრუქტურულ ცვლილებებსა და რეფორმებს. არ არის გაცხადებუ-

<sup>10</sup> კულტურის სტრატეგია 2025, გვ. 32

<sup>11</sup> იქვე, გვ. 33

<sup>12</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 34-35

ლი კულტურული მემკვიდრეობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, მისი როლი ადამიანთა ყოველდღიური გარემოს გასაუმჯობესებლად. არ-სად არის ნახსენები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულების ასახვის აუცილებლობა ყველა დარგის განვითარების ხედვაში, იქნება ეს ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა თუ სხვა.

კულტურის ორნაკინი სამოქმედო გეგმა შემუშავების პროცესშია, მასზე მსჯელობა მოგვიანებით იქნება შესაძლებელი, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი არ გასცდება სტრატეგიის დოკუმენტის ფარგლებს.

რაც შეეხება იუნესკოს 2003 წლის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის შესრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, მათი ინდიკატორები ბუნდოვანია, თანაც არსად არის ნახსენები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უკვე შემუშავებული კანონპროექტის განხილვა, დასრულება და მთავრობის მიერ დამტკიცება.

ამგვარად, მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით აღებული ვალდებულებებისა, კულტურული მემკვიდრეობა კვლავაც განიხილება, როგორც ვიწრო სფერო და არა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელმაც ასახვა უნდა პოვოს ყველა სხვა სფეროს პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში. შესაბამისად, რეალური პოლიტიკა ამ დარგში შეუქცევად ზიანს აყენებს საქართველოს უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რაც გამოიხატება კულტურული მემკვიდრეობის ავთენტიკურობის შელახვაში, ცალკეულ ძეგლთა განადგურებას, კულტურული ლანდშაფტების ხელყოფასა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ უნიკალური ურბანული ქსოვილების რღვევაში.

მიუხედავად კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობის შესრულებისა, როგორიცაა, მაგალითად, იუნესკოს წინასწარი ნუსხის განახლება, აღებული ვალდებულებების ფარგლებში ვერ მოხერხდა სტრატეგიის შემუშავებულ საკვანძო დოკუმენტში სისტემური ცვლილებების გატარებისა და დარგში რეალური პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზე ყურადღების გამახვილება.

• **რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას** მრავალი წლების სამოქმედო გეგმის განვითარებისას დაზუსტდეს ინდიკატორები და ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

• **ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები,** რათა სამოქალაქო სექტორი და ექსპერტები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული მომავალი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში;

• **რადიკალურად შეიცვალოს სახელმწიფო ხედვა და რეალური პოლიტიკა** მემკვიდრეობის დარგში: საუკეთესო ევროპული გამოცდილების საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოუწურავი რესურსი და არა როგორც დამაბრკოლებელი გარემოება.

- დაუყოვნებლივ შეჩერდეს საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობისთვის ზიანის მომტანი პროექტები;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულება აისახოს ყველა დარგის განვითარების ხედვაში, იქნება ეს ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, საგარეო ურთიერთობები, თავდაცვა თუ სხვა;
- დაიწყოს მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის დარგის საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფაზე; შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა; აღდგეს პროფესიული საბჭოები;
- დამტკიცდეს ICOMOS-საქართველოს მიერ შემუშავებული კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი;
- განხილულ იქნეს და დამტკიცდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონპროექტი;
- დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა მემკვიდრეობის გამოვლენასა და აღნუსხვაზე, საქართველოს მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხის გაზრდაზე;
- კულტურული მემკვიდრეობის მართვა ხორციელდებოდეს კარგი მმართველობის პრინციპების თანახმად და არა სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული აგრესიული საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით;
- ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებზე დაყრდნობით შეიქმნას რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დარგში მონიტორინგის მექანიზმი;
- დაცული იქნას კანონის უზენაესობის პრინციპი;
- კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური შენარჩუნებისა და განვითარებისთვის გაიზარდის სახელმწიფო დაფინანსების ნილი და შემუშავდეს აღტერნატიული დაფინანსების მექანიზმები;
- შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების დაცვას.